

ენა და ენათმეცნიერება

მხატვრული ტექსტის სათაურის ნიშნობრივი სტატუსი და  
პოლიფუნქციობა

თამარ მარდალეიშვილი

tamar.mardaleishvili@unik.edu.ge

მაია გაბადაძე

maia.gabadadze@unik.edu.ge

ქუთაისის უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.2.24.05>

სტატია განიხილავს სათაურის ცნებას, როგორც მხატვრული ნაწარმოების პირველ ნიშანს, რომელსაც ტექსტის შემადგენელ ყველა სხვა ერთეულზე მეტად გააჩნია პრაგმატიკული დატვირთვა, რაც სწორედ მისი კომუნიკაციური ბუნებით აიხსნება. სათაურის საშუალებით წინა პლანზეა წამოწეული არა მარტო ტექსტის საზრისი – ძირითადი კონცეპტი, რომელიც იმაზე უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს ქვეტექსტურად, ვიდრე ეს ექსპლიციტური ფორმით არის მასში ენობრივად რეალიზებული, არამედ მკითხველთან მისი კომუნიკაციის უნიკალური უნარი. ავტორის ხედვა და მისი მხატვრულ-ესთეტიკური ინტენციები აღბეჭდილი და ფიქსირებულია სათაურში, რომელიც ერთგვარი ხიდია ავტორსა და მკითხველს შორის. სათაურის პოლიფუნქციობასთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრება არსებობს. სხვადასხვა მკვლევარი სათაურის ფუნქციების სხვადასხვანაირ კლასიფიკაციას გვთავაზობს. ჩვენ მიერ მოპოვებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულმა განზოგადებამ შესაძლებლობა მოგვცა სტატიის ფარგლებში სისტემაში მოგვეყვანა მხატვრულ სათაურთა ძირითადი ფუნქციური დანიშნულება.

**საკვანძო სიტყვები:** მხატვრული ტექსტის სათაური, პოლიფუნქციობა, ნიშნობრივი სტატუსი, ინტერპრეტაცია, კლასიფიკაცია.

სათაურის პოლიფუნქციობასთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრება არსებობს. სხვადასხვა მკვლევარი სათაურის ფუნქციების სხვადასხვანაირ კლასიფიკაციას გვთავაზობს. ჟენეტი სათაურის სამ ძირითად ფუნქციას გამოყოფს. ესენია:

- ა) ნაწარმოების სახელდება მისი იდენტიფიკაციის მიზნით;
- ბ) ნაწარმოების მთავარი თემის, კონცეპტის გამოხატვა;
- გ) ნაწარმოების რეკლამირება მისი გავრცელების მიზნით.

ჟენეტის აზრით, სათაურის ამ ფუნქციებიდან შეიძლება ყველა ერთდროულად არ იყოს რეალიზებული, მხოლოდ პირველი ფუნქცია – ნაწარმოების ნომინაცია არის ობლიგატორული, დანარჩენი ორი ფუნქცია კი არის არჩევითი და დამატებითი. მისი თქმით, „სათაურმა შეიძლება ასახოს ან არ ასახოს ნაწარმოების იდეა, მაგრამ ნაწარმოების იდენტიფიკაციას 'სემანტიკურად დაცლილი' სათაურიც კი ახერხებს“ (ჟენეტი 2001: 76).

მკვლევარი ჰოეკი ახდენს ზემოაღნიშნული ფუნქციების ინკორპორირებას სათაურის მისეულ განმარტებაში: „სათაური, ესაა ენობრივ ნიშანთა სისტემა, რომელიც წინ უძღვის ტექსტს და ახდენს მის სახელდებას, მიუთითებს ნაწარმოების ძირითად საგანზე და ცდილობს მოხიბლოს სამიზნე აუდიტორია“ (ჰოეკი 1981: 17)<sup>1</sup>.

ხსენებულ მკვლევართა მოსაზრება სათაურის ფუნქციებთან დაკავშირებით უდავოდ ღირებული და საყურადღებოა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სათაურის არსი მხოლოდ ამ სამი ფუნქციით არ შემოიფარგლება. ყურადღებას იმსახურებს რუს და ქართველ მკვლევართა მიერ განხორციელებული კვლევები, რომლებიც სათაურის პოლიფუნქციობას წარმოაჩენს (მარტაშვილი 2003, 2010; ჯოხაძე 2008; ჯოხაძე 2012; გალპერინი 1981, კუხარენკო 1988, კოჟინა 1986; ვესელოვა 1997; ორლიცკი 2005 და ა.შ.). ჩვენ მიერ მოპოვებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულმა განზოგადებამ შესაძლებლობა მოგვცა სისტემაში მოგვეყვანა მხატვრულ სათაურთა ძირითადი ფუნქციური დანიშნულება. გთავაზობთ მათ მოკლე მიმოხილვას:

**1. ნომინაციური ფუნქცია**, რომლის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს ტექსტის იდენტიფიკაცია და მისი სხვა ნაწარმოებებისგან დიფერენცირება. ეს არის ფუნქცია, რომელსაც სათაურის ყველა მკვლევარი მის აუცილებელ, ობლიგატორულ დანიშნულებად აღიარებს.

**2. ინფორმატული ბირთვის შემცველი ფუნქცია**, რომელიც მკითხველს ნაწარმოების შინაარსზე და მის ძირითად კონცეპტზე მიაწოდებს. სათაური იმ ინფორმატული ბირთვის მატარებელია, რომელიც ტექსტში განივრცობა. ეს ურთიერთკავშირი სათაურსა და ტექსტს შორის ცვალებადობს და შესაძლოა მათი მიმართება იყოს როგორც პირდაპირი და ფაქტობრივი ხასიათის, ასევე სიმბოლური და მეტაფორიზებული. ნებისმიერ შემთხვევაში, სათაურში დევს ბირთვული ინფორმაცია ტექსტის შესახებ;

---

<sup>1</sup> ციტირებულია ვიქტორია გიბონსის მიხედვით: **Gibbons V.**, Reading Premodern Titles: Bridging the Premodern Gap in Modern Titology, Cardiff University, 2007. Retrieved from: <http://www.cardiff.ac.uk/chri/researchpapers/conference/Papers/VictoriaGibbons.pdf>

**3. ავტორის მხატვრული აზროვნების და ესთეტიკურ-კომუნიკაციური სტრატეგიის გამოხატვის საშუალება,** რის გამოც სათაურის ეს ასპექტი პრაგმატიკულ მახასიათებლად განიხილება. თანამედროვე პროზაში აშკარად შეინიშნება სწრაფვა იმისკენ, რომ მოხდეს აზრის შეძლებისდაგვარად ეფექტურად და ექსპრესიულ-ემოციურად აკუმულირება სათაურში. შესაბამისად, ნაწარმოების დასათაურება ნარატოლოგიაში ხელოვნების რანგშია აყვანილი და მას არა მარტო ავტორის მხატვრული სტილის, არამედ ესთეტიკურ-კომუნიკაციური სტრატეგიის გამოხატულებადაც მიიჩნევენ;

**4. რეპრეზენტაციული ფუნქცია,** რომელიც თავისი დანიშნულებით ორმხრივია – ერთის მხრივ, სათაური წარმოადგენს მის ქვეშ განთავსებული ტექსტის რეპრეზენტანტს; მეორეს მხრივ კი, სათაური ერთმანეთთან აკავშირებს მკითხველს და ნაწარმოებს, რადგანაც სათაური არის პირველი ტექსტობრივი ერთეული, რომელსაც ეცნობა მკითხველი ნაწარმოების წაკითხვამდე;

**5. ტექსტის წარმომქმნელი ფუნქცია,** რომლის არსიც მდგომარეობს ტექსტის კოჰეზია-კოჰერენტულობის რეალიზებაში. სათაური არის ტექსტის ძირითადი შემაკავშირებელი და ნაწარმოების როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური მთლიანობის საწინდარი. საინტერესოა ლ. ჯოხაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ მხატვრულ ტექსტში ვითარდება სხვადასხვა სიუჟეტური ხაზი და ერთმანეთში იხლართება სხვადასხვა თემები. სათაურის წყალობით კი ტექსტში გაბნეული ეს პოლიფონიური ელემენტები ერთიანდებიან ერთ თემად და ერთ დროულ-სივრცობრივ კონტინუუმად. ამდენად, სათაური ფუნქციობს მთელი ტექსტის სისტემაში და კრავს მას ერთ განუყოფელ მხატვრულ მთლიანობად (ჯოხაძე 2008: 98–103);

**6. მაპროგნოზირებელი ფუნქცია,** რომლითაც სათაური მკითხველს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ განჭვრიტოს მხატვრული ტექსტის შინაარსი და სიუჟეტის შესაძლო განვითარება. შესაბამისად, სათაური ერთდროულად მკითხველის განწყობის განმსაზღვრელიცაა და მის მიერ პირველი პროგნოზის გაკეთების საფუძველიც;

**7. განმაცალკევებელი ფუნქცია,** რომლითაც სათაური გამოყოფს ტექსტს მის გარშემო არსებული სივრცისაგან. ამ ფუნქციის რეალიზება უმთავრესად ხდება პოლიგრაფიული ხერხებით: სათაური იბეჭდება ტექსტის წინ, განსხვავებული შრიფტით, ფერით და ა.შ.;

**8. სარეკლამო ფუნქცია,** რომელიც ორიენტირებულია სამომხმარებლო ბაზარზე, როდესაც სათაური ცდილობს მიიზიდოს მკითხველი აზრობრივი თუ ენობრივი გაფორმების ორიგინალურობით.

როგორც აღვნიშნეთ, სათაურის ამ ასპექტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას გამომცემლები ანიჭებენ, რის გამოც ისინი ხშირად ერევიან მის შერჩევაში და თანამშრომლობენ ავტორებთან. ნაწილობრივ, სარეკლამო ფუნქციასთან არის დაკავშირებული „მაცდუნებელი“ სათაურების (*biasing titles*) კვლევა, რომლებიც არა მხოლოდ ტექსტის ინტერპრეტაციაში ასრულებენ მთავარ როლს, არამედ მკითხველის ინტერესის სტიმულირებას ახდენენ, რითაც უზრუნველყოფენ წიგნის გაყიდვას. შეიძლება ითქვას, რომ არსებობს შესაბამისობა სათაურის სარეკლამო ფუნქციას, წიგნის ტირაჟსა და მის სამომხმარებლო ბაზარს შორის;

**9. ექსპრესიულ-აპელატიური ფუნქცია,** რომლის არსიც მდგომარეობს სათაურის დანიშნულებაში მოახდინოს მკითხველზე ემოციური ზემოქმედება. ლინგვისტური ტერმინოლოგიით თუ ვიმსჯელებთ, ეს არის სათაურის პერლოკუციური დანიშნულება. ოსტინისა და სერლის მიერ შემუშავებულ თანამედროვე „სამეტყველო აქტების თეორიაში“ პერლოკუცია განიხილება როგორც სამეტყველო აქტის ერთ-ერთი ქვეაქტი ანუ ენობრივი ოპერაცია, რომელიც ორიენტირებულია ადრესატზე, თუ რა ეფექტი ექნება მასზე გამონათქვამს (ოსტინი 1962; სერლი 1969). ყოველი სათაური იმგვარადაა შერჩეული, რომ შეძლოს მკითხველში ძლიერი ემოციების აღძვრა. აპელატიური ფუნქცია ხაზს უსვამს სათაურის ინტერსუბიექტურობას და, თუ მკითხველი შეძლებს ნაწარმოებში ჩადებული ავტორის მხატვრულ-ესთეტიკური ჩანაფიქრის ადეკვატურად ინტერპრეტაციას, ტექსტის ლინგვისტიკაში ამ ფენომენს განიხილავენ როგორც მკითხველის „ვირტუალურ შეხვედრას“ ავტორთან (ბოგრანდი და დრესლერი 1981: 89);

**10. ტექსტის ინტერპრეტაციის „გასაღების“ ფუნქცია,** რაც დაკავშირებულია სათაურის სპეციფიკურ სემანტიკურ პოტენციალთან საკუთარ თავში მოიცვას მთლიანი ტექსტის აზრობრივი ბირთვი საკვანძო სიტყვის ან სიტყვათა ერთობლიობის გამოყენებით (სეროვა 1986; კორიტნაია 1996). რამდენადაც სათაური ტექსტის დასრულების შემდეგ ეძლევა ნაწარმოებს, იმდენად იგი თავისთავად არის ტექსტის ინტერპრეტაციის გასაღები, ხოლო ავტორი კი – ტექსტის პირველი ინტერპრეტატორი (ტაჰა 2009);

**11. მკითხველის აღქმის მაორგანიზებელი ფუნქცია,** რაც გულისხმობს სათაურის წარმმართველ როლს კითხვის პროცესში. სათაურის ამ ასპექტის კვლევას მრავალი გამოკვლევა ეძღვნება. სტატიის ფორმატიდან გამომდინარე, ჩვენ ამ ფუნქციაზე შემდეგ სტატიებში გავამხვილებთ ყურადღებას მეტაფორიზებული და სიმბოლური სათაურების სიღრმისეული განხილვისას, რომელთა აღქმა და სწორი

ინტერპრეტაცია დაკავშირებულია „გზის“ ცნებასთან, რომელსაც მკითხველი გადის პროსპექტულად და რეტროსპექტულად მხატვრული ტექსტის ესთეტიკური რეცეფციის პროცესში.

ჩეხი ლინგვისტების მიერ შემუშავებული ტექსტის ინფორმაციული განვრცობის თემა-რემატული თეორია იმდენად ეფექტური და მიმზიდველი აღმოჩნდა, რომ მოგვიანებით მოხდა მისი ინკორპორირება ლიტერატურულ კვლევებში. შესაბამისად, ასახვა პოვა ნარატოლოგიაშიც, კერძოდ, ჟენეტის სათაურის თეორიაში (ჟენეტი 2001).

ჟენეტი სათაურის სამ ძირითად ტიპს გამოყოფს: რემატულს, თემატურს და კომბინირებულ სათაურებს (ჟენეტი 1988).

1. რემატული სათაურები. ამ ტიპის სათაურები ძირითადად მიუთითებენ ნაწარმოების ჟანრზე. რემატული სათაურები თავდაპირველად პოეზიისთვის იყო დამახასიათებელი. ასეთები გახლდათ: „ეპიგრამები“, „პოემები“, „ეპისტოლეები“, „სონეტები“, „ელეგია“, „ოდა“ და სხვა. შემდგომ მათი გამოყენების სფერო უფრო გაფართოვდა. გარდა პოეზიისა, უამრავ კრებულს გაუჩნდა რემატული სათაური. ამის ნიმუშებია: „ზღაპრები“, „ქრონიკები“, „მემუარები“, „დიალოგები“, „მოთხრობები“, „ნოველები“ და სხვ., რომლებიც პირდაპირ მიანიშნებენ ნაწარმოების ჟანრზე. მაგალითად, რ. კიპლინგის „The Jungle Stories“, ოსკარ უაილდის „Fairy Tales“, კონან დოილის „Detective Stories“ და ა.შ.

2. თემატური სათაურები. დღესდღეობით სწორედ თემატური სათაურები დომინირებენ. ისინი შეიცავენ ნაწარმოების კონცეპტუალურ ბირთვს და შინაარსობრივად არიან დაკავშირებულნი ტექსტის სიუჟეტთან და ძირითად იდეასთან. ეს ურთიერთკავშირი შესაძლოა სხვადასხვა სიღრმის იყოს. ამ მიმართებით, ძირითადად გამოყოფენ სათაურთა ორ ქვეტიპს:

ა) თემატური სათაურები, რომლებიც პირდაპირ ანუ არაფიგურატიულად ასახავენ ნაწარმოების ცენტრალურ თემას (ასეთი სათაურებია, მაგალითად, ლოურენსის „Lady Chatterley’s Lover“, დიკენსის „The Adventure of Oliver Twist“, ფაულზის „The French Lieutenant’s Woman“ და ა.შ. ).

ბ) თემატური სათაურები, რომლებიც მეტაფორიზებულად ან სიმბოლურად ასახავენ ნაწარმოების კონცეპტუალურ არსს (მაგალითად, თეკერის „Vanity Fair“, დიკენსის „The Old Curiosity Shop“, გოლზუორთის „The Island Pha-risees“, მოემის „The Moon and Sixpence“, „The Razor’s Edge“, მერდოკის „The Sandcastle“, და სხვ.).

3. კომბინირებული სათაურები. ამ ტიპის სათაურები თავის თავში აერთიანებენ რემატულ და თემატურ სათაურებს. მათგან ერთი ელემენტი



## თ. მარდალეიშვილი, მ. გაბადაძე

---

მიუთითებს ნაწარმოების ჟანრზე, ხოლო მეორე – ნაწარმოების იდეასა და თემაზე. თუმცა ეს ფორმულა ძირითადად თეორიულია. პრაქტიკაში ძირითადად თემატური სათაურები გამოიყენება, რომლებშიც რემატული ასპექტი (ანუ ჟანრის იდენტიფიკაცია) თავისთავად მოიაზრება. მაგალითად, შექსპირის “The Life and Death of King Richard III”, “King Henry V”, ჩერჩილის “Memoirs of the Second World War”, აგათა ქრისტის “The Murder of Roger Ackroyd” და სხვა.

ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჟენეტის მიერ შემოთავაზებული სათაურთა ზემოგანხილული ტიპოლოგია ზოგადი და ამდენად უნივერსალურია თავისი არსით. მრავალრიცხოვანი კვლევები, რომლებიც სათაურთა ტიპოლოგიას ეძღვნება, ფაქტობრივად, მათ შემდგომ დიფერენცირებას და დაკონკრეტებას გულისხმობს, რის გამოც ისინი შეიძლება განხილულ იქნას როგორც ჟენეტისეული ტიპების დეტალიზაცია ან კერძო გამოვლინება.

### ლიტერატურა

- ჯოხაძე, ლ. 2008. მხატვრული ტექსტი როგორც სტილისტურ-კონცეპტუალური სისტემა, თბილისი გამომცემლობა „ხირონი“.
- Beaugrande, R. & W. Dressler. 1981. *An Introduction to Text Linguistics*. [http://www.beaugrande.com/introductionto\\_text\\_linguistics.htm](http://www.beaugrande.com/introductionto_text_linguistics.htm)
- Levin, H. 1977. „The Title as a Literary Genre”. *Modern Language Review*, 72(1977), xxiii-xxxvi.
- Meyerovich, A. 2007. *Title and Concept: The Case of Interrelation*. Rehovot, Israel.
- Genette, G. 1983. *Narrative Discourse. An Essay in Method*. Cornell University Press, Ithaca – N. Y.
- Taha, I. 2000. “The Power of the Title Why Have You Left the Horse Alone”. *Journal of Arabic and Islamic Studies*, # 3, 2000: 66-83.
- Taha, I. 2009. *Semiotics of Literary Titling: Three Categories of Reference*. *Applied Semiotics*, University of Haifa.
- Fisher, J. 1984. Entitling // *Critical Inquiry*, 11(2), 1984: 286-298.

## Language and Linguistics

### Literary Text Title's Status as a Meaningful Unit and its Polyfunctionality

**Tamar Mardaleishvili**

tamar.mardaleishvili@unik.edu.ge

**Maia Gabadadze**

maia.gabadadze@unik.edu.ge

Kutaisi University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.2.24.05>

*The following article is aimed at analysing the notion of the title as the very first signemic unit of the literary work. It enables the author to emphasize not only the notion of the text – main concept which implies more than can be conveyed explicitly but also establish unique communication with the reader. Author's view and his/her literary-aesthetic intentions are expressed in the title, which acts as a particular link between the reader and the author. There is diverse range of classification of literary titles. According to the scientific works analyzed, we have accumulated some major key types of literary text title functions.*

**Keywords:** coherence, literary text, conceptual nucleus, perception, interpretation.

Giving a title to a literary work is a significant act and it implies a more complex and accurate process than simply assigning a name by which the text will be repeatedly referred to, or attaching a label that will distinguish it from other similar works. Titles are certainly intended to identify and individuate a work of art, but their purpose goes beyond its mere designation: the function of titles is to guide the interpretation of a text, to indicate how the literary work should be read and perceived. That is to say, titles allow the reader not only to identify and refer to works, but above all to talk about them in a way that affects both their meaning and our interpretation of them, our evaluation and our aesthetic experience.

Opinions differ according to the perspective, the literary title is analyzed from. If the title is analysed from the reader's viewpoint, it can be considered as a part of the text, while for the author the title is as independent as the text it represents. This assumption can be substantiated by the fact that the literary title is chosen by the author only after completing the process of writing the text. The literary title is generally a concentration and focusing of the author's system of intentions. It is thus a kind of subtext that encompasses the overall meaning of

the text by various means of title design. This encompassing by the literary title is multi-directional. As the literary title can encompass central themes appearing in the body of the text, the text may also encompass the title, and the reader may discern title elements scattered throughout it.

Thus, the linguosemiotic status of the title is controversial. Critical review of linguistic literature and literary studies on this problem has enabled us to single out some general standpoints according to which: 1. the title is considered as one of the components of the text it entitles; 2. the title is regarded as a paraphrased version of the text; that is, the title equals the text it represents; 3. the title is a text itself; 4. the title is more than a text, it is superior.

However, none of these statements gives linguistically an adequate definition of the title. We assume that they should be considered as those essential features of the title the set of which forms its invariant, inner form that should serve as a basis for working out a relevant definition of this phenomenon.

Having critically generalized the works of philological schools and representatives of western narratology, we have worked out the main functional-semantic and pragmatic characteristics that determine the literary text titles' status of meaningful unit. They are the following: 1. **The nominative function;** 2. **Condensed informativeness;** 3. **Productive tool for expressing the author's aesthetic-communicative strategy and thinking;** 4. **Double representativeness;** 5. **The function of text production** ensures the realization of coherence and cohesion of the literary text. 6. **Organizing function;** 7. **Isolating function;** 8. **Advertising function** which is aimed at attracting more readers for its conceptual or lingual originality. 9. The essence of the **expressive-appellative function** is determined to make influence on the reader. 10. **The function of 'the key' to the text's interpretation** is connected to the specific semantic potential of the title which contains the conceptual nucleus of the whole text; 11. **Function of organizing the reader's perception** implies the titles leading role in the process of reading.